ხელშეკრულება № 48
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ახალციხე 09 ივნისი 2023 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება“ (ქ. ახალციხე, შალვა ახალციხელის ქ. N2, ს/კ **424068298**), წარმოდგენილი **დირექტორის ანზორ საგინაძის სახით,** შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ **შპს „გვრიტი“ (მისამართი:საქართველო, ახალციხე, დიდიმამიშვილის ქ., №4, ს/ნ 224068577) წარმოდგენილი დირექტორის ინგა გვრიტიშვილის მინდობილი პირის გელა ჭალიძის სახით,** შემდგომში ,,მიმწოდებელი“ ვხელმძღვანელობთ რა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

სარწყავი და სასმელი არხების, სატუმბი სადგურების, ხელოვნური წყალსატევების მოვლასთან დაკავშირებული ინვენტარის და მასალების შეძენის უზრუნველყოფაზე, საერთო ღირებულება: 1565.9 (ათ ას ხუთ ას სამოცდახუთი ლარი და 90 თეთრი) ლარი (შემდგომში "ხელშეკრულების ფასი").

1.გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ-"ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ორგანიზაცია (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" იურიდიულ ან ფიზიკურ პირი, რომელიც აფორმებს ან/და გააფორმა შემსყიდველთან ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.6 "საქონელი"- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 "შემსყიდველი"- ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება“ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აფორმებს ხელშეკრულებას **შპს „გვრიტი“ -სთან, ა სარწყავი და სასმელი არხების, სატუმბი სადგურების, ხელოვნური წყალსატევების მოვლასთან დაკავშირებული ინვენტარის და მასალების შეძენის უზრუნველყოფაზე, საერთო ღირებულება: 1565.9 (ათ ას ხუთ ას სამოცდახუთი ლარი და 90 თეთრი)ლარი.**

2.2 კლასიფიკატორის კოდი CPV: 16800000 - სასოფლო-სამეურნეო და სატყეო დანიშნულების მანქანა-დანადგარების ნაწილები;18100000 - სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები;18900000 - საბარგო ნივთები, სასარაჯო ნაკეთობები, ტომრები და ჩანთები;24900000 - სუფთა ქიმიკატები და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების პროდუქტები;30100000 - საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა; 31200000 - ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა; 31300000 - იზოლირებული მავთული და კაბელი; 31500000 - გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები; 31600000 - ელექტრომოწყობილობები და აპარატურა; 39200000 - ავეჯის აქსესუარები;39500000 - ქსოვილის ნივთები;42600000 - ჩარხები;44300000 - კაბელები, მავთულები და მათთან დაკავშირებული მასალები;44500000 - ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჭაჯვები და ზამბარები/რესორები

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებას შეადგენს: 1565.9 (ათ ას ხუთ ას სამოცდახუთი ლარი და 90 თეთრი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებისა.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების

შესრულების კონტროლს განახორციელებს **ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება“** _ის წარმომადგენელი.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

5. საქონლის მიწოდების პირობები

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი:

N	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ.ფასი	ორიდ.ფასი	CPV
1	ნათურა დიოდური ED-SON E27 15W 4000K ED-1067	ცალი	20	3.8	76	31531000
2	ელექტროდი GEKA 3 (100 ცალიანი პაკეტი)+ 3,260კგ 1611776	ცალი	12	25.9	310.8	44315200
3	ხელთათმანი მირა წით/შავში ASTEL 1002	ცალი	24	1.2	28.8	18141000
4	სილიკონი SISTA 310 მლ აკვარიუმი თურქული	ცალი	5	13.5	67.5	24951120
5	ბოქლომი"Орел"40" OPEL1-40	ცალი	5	5	25	44521210
6	ბოქლომი"Орел"50" OPEL1-50	ცალი	2	7.5	15	44521210
7	ბოქლომი ექსტრა 60	ცალი	2	4.5	9	44521210
8	ბოქლომი ოქროსფერი 38 GM-365	ცალი	3	3.5	10.5	44521210
9	სათიბელას ფოლადის დანა	ცალი	20	7	140	16810000
10	ელ.გამაგრძ. 4-იანი სადენით 3მ. Llinus 5668 ა ა	ცალი	1	12	12	31224810
11	რულეტკა 10მ STAYER ა ა	ცალი	1	10.5	10.5	30192200
12	TOTAL THT511805 საკანცელარიო დანა 160მმ 20518576	ცალი	2	3.1	6.2	39241100
13	TOTAL THTRS2101 მოსაჭიმი ღვედი 2ტx10მ 20513932	ცალი	1	38	38	39541130
14	კალოდკა კაუჩუკის დამიწ. 2-იანი 16ა MK105 03005067	ცალი	3	7	21	31224100
15	ჩანგალი ელ. კაუჩუკის მოხრილი 16A 03005072	ცალი	4	2.6	10.4	31224100
16	ნათურის ვაზნა E27 32-50 24/017	ცალი	10	0.8	8	31223000
17	ვიკო Vera როზეტი გარე 1-ნი	ცალი	6	4	24	31224100
18	ჩამრთ. გარე 1-ანი YW	ცალი	6	2.6	15.6	31224100
19	დისკი VOLZHSKY 230მმx2,0x22	ცალი	20	3.2	64	42674000
20	პვს ენერ H05VV-F 2*2,5 G_-00000710	მეტრი	100	2.15	215	31321200
21	TOTAL THT541036 რკინის ხერხი 300 მმ 20512177	ცალი	1	8.6	8.6	44511500
22	ტუმბო ჭის Schpindel QDX 17,5მ 15-15-1.1TK 50-ანი გამს	ცალი	1	400	400	31681200
23	ტომარა 45*80 საშუალო	ცალი	100	0.5	50	18930000
სულ					1565.9	

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხორციელდება ”მიმწოდებლის” მიერ **2023 წლის 30 ივლისის** ჩათვლით.

5.3 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება ”შემსყიდველის” მიერ მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6. თანმდევი მომსახურება

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს თანმდევი მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების მიწოდებასთან და/ან შესყიდვის ობიექტის შემდგომ ექსპლუატაციასთან.
6.2 თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება ჩაბარება მოხდება ერთ ეტაპად, მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს ამ ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების დასტურად.
7.2. მიღება-ჩაბარების აქტში (სულ ცოტა) მითითებული უნდა იყოს:
- მიწოდებული საქონლის დასახელება;
- მიწოდებული საქონლის ღირებულება;
- მიწოდებული საქონლის მოცულობა.
7.3. საქონლის მიწოდება დასრულებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.
7.4. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს განახორციელებს **ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება“** _ის წარმომადგენელი.

8. ანგარიშსწორება

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ერთ ეტაპად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების დადასტურებიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
8.3 ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.2 პუნქტის ამოქმედების შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ გადასახდელი პირგასამტეხლოს თანხის გადახდის შემდგომ განხორციელდება საქონლის ღირებულების თანხის ანგარიშსწორება.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა ”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის გათვალისწინებით.
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
9.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

11. სუბკონტრაქტორები

11.1მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ.
11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
12.2იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები;
13.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში დაგვიანებული დღისათვის მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0.1 პროცენტის ოდენობით.
13.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **2** პროცენტს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტოს ხელშეკრულება.
13.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14.2 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

(ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

(ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

14.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე თუ:

ა) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.5 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

14.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

14.7 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს თანხის ანაზღაურება.

14.8 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის ურთიერთშეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. გამოყენებული სამართალი

17.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

18.1 ხელშეკრულება იდება ქართულ ენაზე.

19. შეტყობინება

19.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

19.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20. გადასახადები და დაბეგვრა

20.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

21.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

22. ინტერესთა კონფლიქტი

22.1 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერნი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

23. წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს

23.1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

23.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

23.3 ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

23.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელშეკრულება დამოწმებულია ელექტრონული დოკუმენტის სახით, დოკუმენტის ყველა ეგზემპლარი ორიგინალია. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

24. ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერები
და საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველის სახელით:
ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება“
დირექტორი
ანზორ საგინაძე

Anzor Saginadze
Digitally signed by Anzor Saginadze
Date: 2023.06.09 16:53:26

(ბ.ა ან ელექტრონული შტამპი)

ქ. ახალციხე, შალვა ახალციხელის ქ. N2
ს/კ 424068298
ქ.თბილისი, სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ა/ა GE24NB0330100200165022
ელ-ფოსტა: aaiptskalmomarageba@gmail.com

მიმწოდებლის სახელით:
შპს „გვრიტი“_ის მინდობილი პირი
გელა ჭალიძე

(ბ.ა ან კვალიფიციური ხელმოწერა / ელექტრონული შტამპი)

საქართველო, ახალციხე, დიდიმამიშვილის ქ., №4
ს/ნ 224068577
სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა-GE44BG0000000814208900
ელ-ფოსტა: g.chalidze@gmail.com
ტელეფონი: +995 (365) 22-10-43